

მორწმუნის მომწადების აუცილებლობა საღვთო ლიტურდიაში
მონაწილეობისათვის
(14.11.2021)

ჩვენს წინა ქადაგებებში საღვთო ევქარისტის საიდუმლოს შესახებ შევეცადეთ - მარტივი სიტყვებით - გადმოგვეცა ის, თუ რა გააკეთა და თქვა უფალმა თავისი მოსწავლეების ამ უდიდესი საიდუმლოს სწავლებისას საიდუმლო სერობის საღამოს, ცოტა ხნით ადრე სანამ მას დააპატიმრებდნენ. ჩვენ შემოვიფარგლეთ მხოლოდ იმ სიტყვებით რასაც თავად უფალი ამბობდა, რომელსაც წმინდა მოციქულები და პავლე მოციქული აღწერს.

მე იმედი მაქვს, რომ თქვენთვის მსმენელებისათვის გასაგები გახდა, რომ უფალმა თავის მოსწავლეების მიმართ უსაზღვრო სიყვარულის გამო დააწესა ზიარების საიდუმლო, რათა მისი მეშვეობით ქრა მარტო ყოფილიყო უწყვეტ კავშირში მათთან, ერთი სისხლით გაერთიანებული. რათა მორწმუნეები გაერთიანებინა ქრისტეს ხორცსა და სისხლს.

არცერთი სხვა მსახურება ეკლესიისა არ შეედრება საღვთო ლიტურდიას, რომლის დროსაც თავად უფალი ჩვენი იესო ქრისტე მსხვერპლად ეწირება, ცოდვებისა მისატევებლად და ყველა ადამიანის გადასარჩენად და ერთიანდება თითოეულ მორწმუნესთან არსებითად წმინდა ზიარებით. ამიტომ ყოვლად აუცილებელია თითოეული მართლმადიდებელი მორწმუნისათვის მონაწილეობა საღვთო ლიტურდიაში რწმენით, კრძალვით და ჭეშმარიტი ღმრთისადმი ახლოს სიყვარულით.

თუმცა იმისთვის, რომ მორწმუნეს შეეძლოს შეგნებულად ამაში მონაწილეობა, რაც ხდება საღვთო ლიტურდიის დროს, მას უნდა ესმოდეს სიტყვები და უფრო სიღრმისეული სულიერი მნიშვნელობა იმისა რაც ხდება. საღვთო ლიტურდიას აქვს, შეიძლება ითქვას, ერთი განსხვავებული „თავისებურება“. ის მიმდინარეობს მთელი ხალხის მონაწილეობით, სულიერი სარგებლობისთვის მთელი ღვთის ხალხისათვის. ეს გამოიხატება აგრეთვე ბერძნულ სიტყვა „ლიტურდია“ - ღი - საერთო საქმე. აქედან გამომდინარე, გარდა მღვდლებისა, დიაკვნებისა, მგალობლებისა, მედავითნეებისა, სტიქაროსნებისა, თითოეულმა მორწმუნემ უნდა იცოდეს თავისი მნიშვნელობა საღვთო ლიტურდიაში: როგორ უნდა შევიდეს ტაძარში, როგორ უნდა სცეს თავყვანი წმინდა ხატებს, როგორ აანთოს სანთელი. უნდა იცოდეს, როდის უნდა წამოვდგეთ, როდის მოვხაროთ თავი ღვთისმსახურების წინაშე, როდის უნდა გადავიწეროთ პირჯვარი. აგრეთვე მორწმუნეებს შეუძლიათ ხმადაბლა აჰყვნენ გალობას ნაცნობ გალობებში - „უფალო შეგვიწყალებ“, „მოგვმადლე უფალო“, „წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდავო შეგვიწყალებ ჩვენ“. ყველა ერთად ამბობს მრწამს და უფლის

ლოცვას. ყველაფერი ეს წარმოადგენს ცოცხალ მლოცველ საზოგადოებას და ეხმარება მორწმუნეს, რომ მისი გონება და გუკი მონაწილეობდნენ მიმდინარე ლოცვაში და ფიქრები არ ეფანტებოდნენ.

კეთილმორწმუნეები გრძნობენ განსაკუთრებულ მადლს როდესაც კრძალვითა და ლოცვით ამზადებენ სეფისკვერებს და მოაქვთ ისინი ტაძარში, მათგან ამოიკვეთოს „ნაწილი“, რომელიც საღვთო ლიტურგიის დროს ქრისტეს წმინდა ხორცს ახლავს. მართლმადიდებლური ტრადიციის თანახმად, მორწმუნეებს მორიგეობით მოაქვთ ის, რაც საჭიროა საღვთო ლიტურგიის ჩასატარებლად და სხვა რამე რაც საჭიროა ეკლესიისთვის, აგრეთვე ზრუნავენ ტაძრის სისუფთეზე. ძალიან სახასიათოა ის ლოცვები, რომლებსაც ადავლენს ღვთისმსახური იმათთვის, ვისაც მოაქვს ეკლესიაში საღვთო სამსახურისთვის აუცილებელი რამეები და შრომობს, ეკლესიის სისუფთავესა და მის გარეგნულ სილამაზეზე. „- მოიხსენე, როგორც კეთილმა და კაცთმოყვარემ, ამ ძღვენის მომტანი (პური და ღვინო) და ისინი, ვისთვისაც მოიტანეს“, - ლოცულობს მღვდელმსახური პროსკომედის დროს. - „მერმე ვლოცულობთ ნაყოფის შემწირველთა და კეთილ მონაწილეთა გამო წმინდა და პატიოსან ტაძარში...“

- „აკურთხე შენი სახლის მოყვარულნი. შენ ისინი ადიდე საღვთო ძალით...“ (ამბიონის ლოცვა) - აკურთხე უფალო და ადიდე შენი საღვთო ძალით ისინი, ვისაც უყვარს და ზრუნავს, რომ ეკლესია იყოს სუფთა და კეთილმოწყობილი! უდიდეს კურთხევას იღებენ უფლისგან ისინი, ვინც საჭირო ყურადღებას იჩენს და ზრუნავს ღვთის სახლის მოწყობასა და ფუნქციონირებაზე.

საუკუნეების განმავლობაში კეთილმორწმუნე მართლმადიდებელი ოჯახები, რომლებიც ინარჩუნებდნენ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ტრადიციებს, შაბათიდან ზრუნავდნენ ფიზიკურად და სუკიერად მთელი ოჯახის მომზადებაზე, რათა მეორე დღეს წასულიყვნენ ტაძარში და წარმდგარიყვნენ უფლის წინაშე. კვირას საუკეთესო ტანსაცმელს იცმევდნენ. საღამოს ვახშამი იყო სამარხვო და უბრალო. საღამოს ლოცვის შემდეგ ერთმანეთს შენდობას თხოვდნენ.

თუ მშობლებს სათანადო განათლება ჰქონდათ, ისინი ამზადებდნენ თავიანთ შვილებს მომავალი წასაკითხი სახარებისთვის და აუწყებდნენ თუ კვირა დღე რომელიმე დღესასწაულს ემთხვეოდა. ამ გზით ბავშვები მომწადებული იყვნენ მეორე დღეს იმისთვის რასაც ნახავდნენ და გაიგონებდნენ ტაძარში, და წირვაში დიდი ინტერესით ღებულობდნენ მონაწილეობას.

დღეს, სულ ადვილად, ინტერნეტის საშუალებით, ძალიან იოლია სასურველი ინფორმაციის მოძიება, რომელიც დაეხმარება ყველას სულიერ მომზადებაში, რასაც ჩვენ შაბათს ვატარებთ, კვირა დღის დასასწრებად ეკლესიაში.